№ 8.

# ივერია

წელიწადი პირველი

21 აპრილს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულ ენაზე.

საძიებელი: I. ტფილისი, 21 აპრილს. — II. საქართველოს მატიანე. — III. ომის ამბები — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი — VI. პროვინციალური წერილები, წერილი მეორე — VII. ოსმალოს საქართველო. — VIII. ზოგიერთი რამ.

მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ კავკასიის მხედრობის მთავარ-სარდალმა ინება და შეუთვალა აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებთა შემდეგი:

## აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!

„სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ჯარი ჩემდამი მონდობილის კავკასიის მხედრობისა მოდის თქვენს ქვეყანაში.

ჩვენმა კეთილის-მყოფელმა და კაცთ მოყვარემ ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისთვის, რომ დაჰსჩაგროს მშვიდობის-მოყვარე მცხოვრებნი. ხელმწიფე ჩვენი არ ერჩის უიარაღოსა და არც უიარაღო კაცის წახდენაში ეძიებს თვისის მხედრობის სახელსა და დიდებასა: იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და კაცობრივი პატივი.

მაშასადამე არც მუქარით მოდის თქვენს ქვეყანაში მხედრობა რუსთა ხელმწიფისა და არც რაიმე შიში მოსდევს მას მშვიდობის-მყოფელ მცხოვრებთათვის. ნუ გეშინისთ! ყოველს თქვენგანს, რომელიც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენ მივიღებთ მეგობრად, — და მის ცოლშვილსა, ოჯახსა და ქონებასა ჩვენ თვითონ მფარველად ვეყოლებით. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან, ჰოი, ძენო კეთილ-შობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა.

მთავარ-სარდალი კავკასიის მხედრობისა და დიდის
იმპერატორის მოადგილე კავკასიაში მიხეილ.

ტფილისი, 21 აპრილს.

ასტყდა ომი!... ამის მსმენელს გული თავის ადგილს აღარ აქვს. ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგს მედიდურს, დიდებულს სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავ-გაწირული ერი აზღვავებულია, ამხედრებულია, თავისის პატივის, თავისის ღირსების, თავისის ვინაობის და თვითების დაცვისათვის. მაშინ გულს ავიწყდება სიკვდილის შიში და სიცოცხლის სიტკბოებაც, მაშინ კაცი გმირია; მაშინ გული მგზნებს სულგრძელებისათვის, გაკაცობისათვის, პატიოსნებისათვის. საყოველდღეო წვრილმანი სახვალდღეო ცხოვრებისა შორდება კაცსა და კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანის სიკვდილისათვის, ან პატიოსანის სიცოცხლისათვის. რამოდენად უფრო მედიდურია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად, სხვა ერის საოვარგულოად!... აქ მარტო კერძოობითი გრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი, ესე მიერთვიან ხოლმე კერძოობითი გრძნობანი ადამიანისა.

დღევანდელს ომს ეს გულის აღმტაცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუძღვის წინ.

დღეს საომრად გამოსულს მხედრობას ეს უწერია დროშაზედ: „ჩაგრულთა დასახსნელად და მჩაგვრელთა შესაკავებლად ამოიღო ხმალი ხელმწიფე იმპერატორმა“. ამაზედ უმშვენიერესი, ამაზედ უპატიოსნესი, ამაზედ უწმინდესი საგანი ბევრჯელ არა ჰქონია ომსა. ადამიანის სულგრძელებას უკეთესი საზრდო აღარ უნდა, ადამიანის თავ-გამომეტებულს მხნეობას უკეთესი ჯილდო.

სიცოცხლე შეწირული დევნულთათვის სახელოვანია, სისხლი დაღვრილი ჩაგრულთათვის წმინდაა!....

## საქართველოს მატიანე

— ყოველის მხრიდამ კაი ამბავი გვესმის წლევანდელ მოსავალზედ. ყანები თურმე ჩინებულია, ვენახებსაც ძალიან კარგი პირი აქვთ. ღმერთმა ქნას და შეარჩეს ბოლომდის ჩვენს ქვეყანასა ეს პირიანი მოსავალი. მაგრამ ვინ იცის? საშინელი კალიაა თურმე აქტესილი ტფილისის მაზრაში. ჯერ კუტია და ამიტომაც მისი გაყოლეტა ადვილია. თუ ესლავ არ უშველა ამას, მერე გვიანღა იქმნება. რაკი კალია ფრთას გაიკეთებს, წინ რაღა დაუდგება, მოედება მთელს ჩვენს ქვეყანასა და საიმედო მოსავალს ბოლოს მოუღებს კიდეც. ფრიად საშიშია ეს გარემოება და ყველასათვის ერთნაირად საფიქრებელი და მავნებელი. ვიდრე დროა უნდა უშველოს რამე. ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ალ. აბხაზი დიდს ცდაშია თურმე, რომ, ვიდრე კალია კუტად არის, ადგილობრივვე ამოხოცოს. მას გამოუწვევია ხალხი, გაუთხრევინებია არხები, ხალხი თურმე ფიჩხებით აფთხობს კალიას, კალია მიდის და ცვივა გათხრილს არხებში. მერე თურმე ამ რიგად არხში მომწყვდეულს კალიას ხალხი ფეხითა ჰსრესს. ეს ღონე მოუგონიათ, იმიტომ რომ იმ ადგილებში, სადაც კალიაა გაჩენილი, არც წყალია, არც ტბა, რომ ან წყალით ამოხოცონ კალია, ან ცეცხლითა. თუმცა გლეხობა გამოსულა კალიის სახოცველად, მაგრამ დიდს გაჭირვებაში თურმეა უპუროობისაგამო. საწყლებს თურმე პური არც შინა აქვთ და არც გარედ. ზოგი შიმშილით წაქცეულა კიდეც მუშაობის დროს. არსაიდამ არავინ ამ მხრით არა შველის თურმე ხალხსა, თუმცა იგი ამ შემთხვევაში საყოველთაო ჭირს ებრძვის. მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, ზოგიერთს წევრს ჩვენის ბანკის ზედამხედველის კამიტეტისას ფიქრად მოსვლიათ კეთილი აზრი, რომ ბანკის მოგებიდამ იმ გაჭირვებულს ხალხს ფული მიაშველონ და მით მოუმართონ ხელი ამ საყოველთაო საქმეში.

— ჩვენა გვწერენ რომ ახალციხეში გროვდება მილიცია და მის მოთავედ თურმე ნიკოლოოზ იავინთეს ძე მესხიევი უნდა ამოერჩიათო. მაგრამ უფ. მესხიევი სხვა თანამდებობისათვის უფრო საჭიროდ დაუნახავთ და იმის გამო იქნება მილიციის მოთავედ სხვა დაინიშნოსო.

— ჩვენ დავესწარით „ხათაბალის" მეორე წარმოდგენას. უფ. სუნდუკიანცი, რომელსაც ხათაბალა დაუწერია, უეჭველი ნიჭია და ამასთან სცენის კარგი მცოდნე ყოფილა. ამ „ხათაბალაში" ბევრი იმისთანა ადგილებია, რომ კაცს მართლა ჩააფიქრებს და ამასთანავე გააფხიზლებს. ამ კომედიის სიკეთეს ბევრად უძლის ერთისა და იგრვეს შიგა და შიგ განმეორება და მეტად ძნელი საუბარი მომქმედ პირთა შორის. ეს ჩვენ გაზეთში უწინაც იყო შენიშნული. წარმოადგინეს ჩინებულად. ძალიან კარგად წარმოადგინა უფ. ვასილ აბაშიძემ, რომელმაც პირველ გამოსვლისთანავე მიიზიდა ჩვენი ყურადღება. მის თამაშობას ძალიან დავაკვირდით თვალი და სწორედ გითხრათ, ვერსად ვერ შევამჩნიეთ ან ისე გადაემეტნოს რამე, ან ისე დაეკლოს, რომ მით წაეხდინოს როლი. ჩვენის ფიქრით, მაგის ნიჭს დიდი მანძილი აქვს. ერთი იმისი მახილი: „გარასიმ იაკუღიჩ" რათაც უნდა ღირდა. ცოტად როლი არ იცოდა და მაგისთანა ნიჭიან და ოსტატ მოთამაშესათვის ეგ შეუნდობელი ცოდვაა. ძალიან კარგად ითამაშა დედის როლი მარ. ყიფიანისამ. და მაშინ ყიფიანნი ჩვეულებისა. მერე კარგად იყვნენ უფ. კონ. ყიფიანი ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ როლს იზეპირებდეს და სიტყვებს ბოლოს არ აკვნეტდეს ხოლმე. მის მშვენიერს თამაშობას ეს ორი ნაკლულევანება ბევრად აზიანებს. იმედია რომ ამ ნაკლულოვანებას უფ. კონ. ყიფიანი ადვილად აიცილებს, თუ მოინდომა.

— „Тифлисскій вѢстникъ"-ში ჰსწერია, რომ 16 აპრილს უფროსს პოლიცმეისტერის სამმართველოს წინ მოუგროვებიათ ასსასები და გამოუცხადებიათ ქალაქის მმართველობის განკარგულება, რომ ღამით ბუკითი გუშაგობა გასწიონ და თავ-თავის ადგილას ქუჩები წმინდად შეინახონ.

—„სასოფლო გაზეთში" ჰსწერია, რომ ქ. თელავში შვიდი ათასამდე სული მცხოვრები ითვლებაო და ორს თვეში იანვარში, და თებერვალში, სამასს ორმოცამდე სული გარდაცვლილაო. ამასთანავე გვაუწყებს, რომ იქ არც ჭირი და არც სხვა რაიმე გადასადები ავათმყოფობა არ ყოფილაო. ნუ თუ ადგილობრივს მმართველობას არა რაიმე განკარგულება არ მოუხდენია, რომ ამისთანა უბედურების მიზეზი გამოიკვლიოს და ხალხი ამოდენა ხოცვისაგან დაიხსნას!....

— „Кавказъ"-ში მოხსენებულია, რომ რკინის გზა ფოთის სადგომიდამ ქუთაისამდე შეკეთებულია და წელს 1-ს მაისს სვლაც დაიწყობაო.

— ამას წინად ტფილისში შესდგა პირუტყვთა მფარველობის საზოგადოება. ესლა გაზეთი Кавказъ-ი გვაცნობებს, რომ მისი წესდება ამ დღეებში დამტკიცდებაო. აჰ, ნეტავი ერთი საზოგადოება მეტყველთათვისაც შესდგეს.

— საგარეჯოდამ გვწერენ: „წელს გაზაფხული ადრე დაგვიდგა; ხეხილი სრულიად გაიშალა, ესლა ბაღებში შესვლა მაისის დროს წარმოგვიდგენს. მინდორში

ყანებმაც შეითამაშეს, ღვთის მადლით ხალხი წელს უხვს მოსავალს მოელის, თუ ბოლოს არ უმტყუნა ამინდმა.

მეტად სასიამოვნო დღეებია, დილით გრილა, შუადღისას ცხელა, საღამოთი ცა იღრუბლება და ხანდის ხან კიდეც გვნამავს. მაგრამ ამ ჰაერის ცვლილებას მოჰყვა საშინელი ავათმყოფობა, რომელმაც ხალხი ფრიად შეაშინა და მრავალნი იმსხვერპლა კიდეც. ამ ავათმყოფობას ჭვალს ეძახიან, მაგრამ ეს სრულებით ჭვალი არ არის. ეს ავათმყოფობა აუჩნდება ადამიანს თუ არა, მაშინვე ხმას აკმენდინებს ასე, რომ ავათმყოფი თავის სატკივარს ვეღარავის ატყობინებს. ეს ავათ-მყოფობა არც ხოლერას ჰგავს: ფაღარათობა და პირ-საქმობა ავათმყოფებს სრულიად არა აქვთ. მკვდარს ფერი სალი ადამიანისა აქვს, ამ ავათმყოფობას რაც უნდა მაგარი აგებულების ადამიანი იყოს, ორ დღეს ვერ უძლებს. ჩვენი მღვდლები დღეში სამ-ოთხს მარხამენ ამ სოფელში. გასაკვირველი უფრო ის არის, რომ ეს ავათ-მყოფობა უფრო მამაკაცთა ერჩის.

რა ქნას აქ კაცმა? გაჭირვების დროს ვის მიჰმართოს? ამოდენა მაზრაა და ერთი ექიმი არ მოიპოვება. იხოცება უპატრონო ხალხი და მეშველი არსით არის. ექიმს ვინა ჩივის, მთელი აქაურობა რომ ერთმანეთს აჯასხო მუცლის გვრემის წამალს ვერ იშოვით, ხარდალს ვერ იშოვით, ხარდალს რომ წამლად გინდოდეთ. საწყალს გლეხობას რომ ვეღარსაიდგან უშველია თავის თავისთვის, მოჰყვავთ ღადაქი და სნეულებს სისხლიდამ ჰსცლიან. უწყალოდ იხოცება ხალხი და აბა თუ ვინმემ ყური შეიბერტყოს".

---

## ომის ამბები.

—

ჩვენს მკითხველთ მოეხსენებათ, რომ 12-ს აპრილს დუნაის მხედრობა და ოთხივე კავკასიის ლაშქარი დაიძრა ზინიდგან და გადვიდა ოსმალეთში უმაღლესის მანიფესტის ძალითა.

აი მას შემდეგ რა ცნობები მიღებული ტფილისში ომის წარმოების შესახებ.

— 12-ს აპრილს კავკას-ოსმალეთის მიჯნაზე დაბანაკებული მხედრობა გადვიდა ოსმალეთის საზღვარსა. რაც საზღვარზედ ოსმალეთის საყარაულონი ყოფილან დაუჭერიათ და თვით იქ მყოფნი ჯარის კაცნიც ტყვეთ მოჰსცემიან. ხოლო ერთგან ოსმალონი გამაჰკვრებიან, სროლა აუტეხნიათ, იმათ მოჰკლომიათ ოთხი კაცი და ჩვენ ერთი უაზახი. მერე ნიჟნეგოროდის დრაგუნებს და უაზახებს ჰქონიათ მცირედი სროლა კურტის ცხენოსან ჯართან, რომელიც დტოლვილა. უფელს ამ საქმეებში ჩვენებს ტყვეთ დარჩენიათ შვიდი ოსმალის ოფიცერი და ოთხმოცდა ცამეტი დაბალი ჯარის კაცი.

— იმავე 12-ს აპრილს გუმბრის ლაშქრის სარდალს მოართმევია ორასი კაცი ყარაფაფახნი თავისის უფროსებითა და ალმებითა და უთხოვნიათ რუსის სამსახურში მიღება.

— რიონის ლაშქრის ერთს ნაწილს, რომელიც დენერალ დენიბეკოვს აბარია, ფიცხელი ომი გადუხდია. 13-ს აპრილს საღამოს 6 საათზედ ამ ომის შემდეგ ოსმალთა თავი დაუნებებიათ თავისის ბანაკისათვის და ის ბანაკი ჩვენებს დაუჭერიათ. ამ საქმეში განსაკუთრებით თავი უსახელებიათ გურიის მილიციას. ამ საქმეში დაჭრილა პოდპოლკოვნიკი მუსხელოვი.

— 14 აპრილს ოსმალოს სამხედრო ხომალდნი მოსდგომიან წმ. ნიკოლაის სიმაგრესა და ყუმბარის სროლა დაუწყვიათ. რამდენსამე საათის შემდეგ ხომალდნი ისევ უკან გაბრუნებულან. ჩვენგანი ერთი მოუკლავთ და ერთი დაუჭრიათ.

— 14 აპრილს გუმბრიდამ ამბავი მოვიდა, რომ ექვსი ოსმალოს ბატალიონი და მასთან ერთი ბატარეია, რომელნიც ხოჯი-ვანქსა და სუბოტანსა მდგარა, ყარილა და ყარსისაკენ წასულა 12-ს აპრილს, რაკი ჩვენის ჯარის მიახლოვება შეუტყვია.

— 15 აპრილს ოზურგეთიდამ ამბავი მოვიდა, რომ გენერალს ოკლობჟიოს სრულად დაუჭერია ოსმალოთა ადგილი მუხა-ესტატე. თუმცა ოსმალონი თოფის სროლას არა ჰსწყვეტენ, მაგრამ ჩვენებს მით ვნება არა ეძლევათ რა. სულ რაც ჩვენი ჯარი თავის ბინიდამ დაძრულა ერთი მკვდარიც არ არის. მხოლოდ ოცდა ჩვიდმეტი კაცია დაჭრილი.

— 16 აპრილს ახალციხის ლაშქრის ერთს ნაწილს პოლკოვნიკის კამაროვის წინამძღოლობით დაუჭერია დღვინი. იქაური ხალხი შეიდრობიანად ეგებება ჩვენს ჯარს, ჩვენს მომხრეობას აცხადებს და თოფ-იარაღსაც თავისის ნებით იძლევა.

— 18 აპრილს ფოთიდამ ამბავი მოვიდა, რომ სამი სამხედრო ხომალდი ოსმალეთისა გამოჩენილა ფოთის სიახლოეს და სოხუმისაკენ წასულა.

— 18 აპრილს დილის შვიდს საათზედ მოწინავე ჯარი ერივანის ლაშქრისა გენერალ ტერგუკასოვის წინამძღოლობით ბაიაზეთთან მისულა. რაკი ოსმალოს მეციხოვნეთ, რომელნიც ათას შვიდასი კაცი ყოფილან, ეს უცვნიათ, მსწრაფლად გამოსულან, ქალაქისათვის და ციხისათვის თავი დაუნებებიათ და ალადაღის მთებისაკენ გაუწევნიათ,

ქალაქი და ციხე ჩვენეს დაუპყრიათ. სურსათი და სამხედრო ნივთი კარგა ბლომად დარჩენიათ ჩვენებს.

— დუნაისს მხედრობა თუმცა წინ მიდის, მაგრამ ჯერ კიდევ არავითარი შესანიშნავი საქმე არა ჰქონია ოსმალოს მხედრობასთან. კიშინევიდამ 16 აპრილს იწერებიან: „მეთერთმეტე კორპუსის წინამძღომელმა თ. შახავსკოიმ გუშინ დაიპყრო გალაცი, ბრაილოვი; 36 დივიზიამ დაიპყრო იზმაილი, კილია. ჩვენი ჯარი ყველგან ხალხის მხრით ალტაცებით მიღებულია“.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ამ ჟამად, როგორც მოგეხსენებათ, კაცს თუ არ ომიანობისა სხვისა არაფრის თავი არა აქვს; ომის გარდა სხვა არა ვითარი საგანი არ იპყრობს მის ყურადღებას და სხვა არავითარს ლაპარაკს არ უგდებს იგი ყურს. გაზეთებში კაცი მხოლოდ იმ ცნობებს დაეძებს, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ომს შეეხებიან და ომის გარემოებას აუწყებენ. ამ ქმნას იგივე ჩქარი და მოუსვენარი ხასიათი სჭირს როგორიც თვითონ ამ დროის ცხოვრებას შეეფერება. კაცს გრძელი და დამჯდარი ლაპარაკის გული აღარა აქვს. მას უნდა ახალი და ცხელ-ცხელი ამბები, რომელთა შემუშავება და განვითარებითი გამოკვლევა მომავალს უნდა ეკუთვნოდეს და არა ამ აღელვებულს წუთს, როდესაც კაცმა ისიც კი კარგად არ იცის თუ რას უქადის მას ხვალინდელი დღე. ამის გამოისობით ჩვენი საპოლიტიკო მიმოხილვაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი იქმნება.

—

**ოსმალეთი.**—ამბობენ რომ ოსმალეთს დუნაის დაცვისათვის მომზადებული ჰყავს 199,815 მარტო რეგულიარის ჯარის კაციო. ეს ლაშქარი, რომლის სარდლათ აბდულ-ქერიმ-ფაშა არის დანიშნული, განიყოფება სამ კორპუსათ ანუ თორმეტ დივიზიათ, რომელთაც ცალ-ცალკე მოქმედება შეუძლიანთ.

— ერთს ნემეცურ გაზეთში იწერებიან, რომ დერვიშ-ფაშა თავის ხელქვეით ჯარს აგროვებს აგები როგორმე სურსათი მივაწვდინო პოდგორიცასაო *). ამ სიმაგრეში არიან მეციხოვნეთ 3,000 კაცი. რადგანაც ჩერნოგორიელებმა ამ ქალაქს ალყა შემოარტყეს და მჭიდროდაც, ამის გამოისობით აქ დღე-დღეზე ცხარს შეტაკებას მოელიან.

*) პოდგორიცა არის გამაგრებული ოსმალეთის ქალაქი, ჩერნოგორიის ახლოს.

— აი რას იწერება ბოსნიიდგან ერთის რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი: „ბოსნიის მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ალები და ბეგები არას დასდევენ კონსტიტუციას და ისევ ისე თავის ნებით იქცევიან, როგორც ადრე. ოსმალების მეცადინეობა მხოლოდ იმზედ არის მიქცეული, ამათ ბრაზი მოსდით, რომ აჯანყებული ქრისტიანები ისე მტკიცედ და მედგრად ეპირდაპირებიან ხონთქრის ჯარს.

აჯანყებულთა სარდლათ ბოსნიაში დანიშნულია დესპოტოვიჩი, რომელიც უწინ სერბიაში ემსახურებოდა. მის ხელქვეით სამი ათასი კაცია, რომელთა შორის მხოლოდ ნახევარია ხეირიანად აღჭურვილი. ინსურგენტები რომ კარგად იყვნენ დაიარაღებულნი, აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა მომავალ ომში, მით უფრო რომ იგინი ჯარში გამოცდილნი არიან, ადვილად იტანენ ჯარის კაცის ყოფა-ცხოვრებას და თავ-გამოდებულნი არიან. ინსურგენტები მოუთმენლობით ელოდნენ თუ ან რუსეთი როდის გამოუცხადებს, ან ჩერნოგორია როდის აუტეხს ომს ოსმალეთს და მით როდის მოგვეცემა შემთხვევა საქმით დავამტკიცოთო, რომ ჩვენს გულში არ ჩამქრალა ის გულადობის და ვაჟ-კაცობის ცეცხლი, რომელიც ჩვენთა მამაპაპებს უღვივოდათო.

— მაგრამ სლავიანების მდგომარეობა უფრო უარესს დღეს უნდა მოელოდეს, რადგანაც ომი გამოცხადებულია და ოსმალების რისხვას რასაკვირველია საზღვარი არ ექმნება. აი რას იწერება გაზეთი „France“ ომის გამოცხადების წინ: „მაჰმადიანები ისეთნაირად გაბრაზებულნი არიან, რომ იმ დღეისთვის, როდესაც ომი გამოცხადებული იქმნება და რუსის ჯარი პრუტს გადავა, ქრისტიანების ამოწყვეტას აპირობენ. ამის გამოისობით თვით სტამბოლში მცხოვრებნი ევროპიელები ისეთ ნაირად არიან დაშინებულნი, რომ დასდასად იპარებიან ქალაქიდგან. რაღა თქმა უნდა, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოებმა გამოსცეს ბრძანება, რომ დარდანელში სამხედრო ხომალდები უნდა იყვნენ მათთა ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების დასაცველად.

„ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ სადიკ-შერიფ-ფაშამ*) უთხრა ჰერცოგ დეკაზს, (საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს) რომ ოსმალეთის ქრისტიანებს დიდი უბედურება მოელითო მეტადრე ბოლგარიაში, თუ რუსეთმა ომზე ხელი არ აიღო. რუსის მთავრობა თავის მხრით დარწმუნებულია, რომ ოსმალეთს მხოლოდ ერთი ღონისძიებაღა აქვს აიცილოს ომი თავიდგან, სახელდობრ: ეხლანდელი მთავრობა უნდა გამოსცვალოს და მის მაგიერად იმისთანა კაცები დააყენოს, რომელნიც მოურიგდებიან რუსეთს და

*) ოსმალეთის ელჩი საფრანგეთის წინაშე.

დაიცვენ ოსმალეთს ევროპის მზრუნველობისაგან. თუ ეს ცვლილება მოხდა, მაშინ მშვიდობიანობა უეჭველია. მაგრამ ინგლისის მთავრობა ამისთანა პირობის წინააღმდეგია“.

— ამ ბოლოს დროს, ოსმალეთს ძალიან აწუხებდნენ მირიდიტები. მგონია, რამდენიმე ცნობა ამ ხალხის შესახებ მეტი არ იქმნება. თუმცა მირიდიტები ალბანიელებათ ირიცხებიან, მაგრამ როგორც ენით, აგრეთვე გვარტომობით ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან. მირიდიტების ენა არც ერთს ევროპიელს ენას არ ემგზავსება. სარწმუნოებით კათოლიკები არიან და მათთა სამღვდელოს ყოველ წლივ დიდი შემწეობა (субсидія) ეძლევა თურმე ავსტრიისაგან. აი რას ამბობენ მასზედ თუ საიდგან წარმოსდგა სიტყვა „მირიდიტი“: როდესაც ხონთქრის მურადის III დროს სერბია წინააღუდგა ოსმალეთს, სოფრის მეომარმა ხალხმა თავისი კაცები გაუგზავნა ხონთქარს და მით შემწეობა მისცა აჯანყებული სერბია დაემორჩილებინა. ხონთქარმაც თურმე მადლობა გადუხადა და ეს ხალხი სამუდამოდ გაანთავისუფლა ყოველის გარდასახადისაგან. ამის გარდა ხონთქარმა ნება მისცა თვითონ ამოირჩიონ თავისი უფროსი, რომელსაც მირიდიტები კაპიტანს ანუ პრინცს უწოდებენ.

როდესაც ხალხმა შეიტყო ეს ხონთქრის განკარგულება, სიხარულით თურმე დაიძახა—„მირდიტ“ (ე. ი. მირ—კეთილი და დიტ—დღე). იმ დღეიდგან ამ ხალხის შთამომავლობას დაერქვა თურმე „მირდიტი“. მაგრამ ეს ხონთქრის წყალობა ვერაფრად მოხდენია მირიდიტებს, რადგანაც ეხლა აჯანყდნენ და ჩერნოგორიელებს მიუდგნენ.

—

**ჩერნოგორია.**—ერთი ნემეცური გაზეთი იწერება: „ამ ჟამად ჩერნოგორიის ჯარის რიცხვი 23,000-მდე ადის, რომელთა შორის 16,000 საკუთრივ ჩერნოგორიელია; 5,000 ჰერცოგოვინელი, 2000 ალბანიელი. ჩერნოგორიის მთავარს განზრახვა აქვს გამოიწვიოს 8000 კაცი მეორე რეზერვისა; იმედი აქვს, რომ კიდევ 2000 ჰერცოგოვინელი და 8000 მირიდიტი მოემხრობიან. ლაშქარი ძალიან კარგად არის შეჭურვილი ასე, რომ უკეთესი აღარ უნდა. ტყვია, თოფის წამალი და სხვა საომარი ნივთი ბლომად აქვსთ, სურსათი იმდენი აქვსთო, რომ წელიწად ნახევარს გასწვდებაო. ფულიც იმედია არ შემოაკლდებათ. რაღა თქმა უნდა რომ ამჟამად ჩერნოგორიელები დიდს აღტაცებაში იქმნებიან და უფრო გამხნევდებიან. ყველა დარწმუნებულია, რომ ოსმალეთის დარღვევის დრო მოვიდაო.

—

**რუმინია.**—გაზეთი „France“ ამბობს, რომ როდესაც ომი ასტყდებაო, რუმინია ჯერ-ჯერობით არავითარ გადაწყვეტილ გზას არ დაადგებაო და ლოდინში იქმნებაო. „როგორც რომ რუსის ჯარი შემოვა რუმინიაში, მაშინვე მთავარი კარლო მოიწვევს ორთა პალატის წევრს და შეჰკრის პარლამენტს, რომელსაც წარუდგენს ცირკულიარს, სადაც მოხსენებული იქმნება თუ რა პოლიტიკას შეუდგა მთავრობა. შემდეგ ეს ცირკულიარი გაგზავნილ იქმნება უცხო სახელმწიფოთა წინაშე.“ „თუ ოსმალები გადავიდნენ მდ. დუნაის, რუმინიის ჯარი არა დაბრკოლებას არ მისცემს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ოსმალეთის ჯარმა არავითარი ვნება არ მოუტანოს რუმინიელების სიცოცხლეს და ქონებას“. ამას წინედ რუმინიის სამხედრო მინისტრმა განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ფიცხლავ რეზერვები უნდა მოგროვდნენ. რუმინიის ჯარი დაიჭერს იმ ადგილებს, სადაც ომი არ იქმნება ატეხილი და მხოლოდ მაშინ გაერევა ბრძოლაში, როდესაც ერთი რომელიმე მებრძოლთაგანი რუმინიელებისაკენ ხელს გაიწვდის. „თქმა აღარ უნდაო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ რუმინიის მთავრობის გული რუსეთისკენ არის მიზიდული“.

რუმინიას შეუძლიან გამოიყვანოს საომრად 100,000-ზე მეტი კაცი, ყველა ლაშქრის განყოფილება რომ ვიანგარიშოთ.

—

**ავსტრი-ვენგრია.**—ამას წინედ ხმა დავარდა, რომ ოსმალეთი ცდილობს აგები როგორმე ავსტრია მოიბიროს და თავისკენ მიიზიდოს. ამისათვის ოსმალეთი ვითომ ჰერცოგოვინის ნაწილს დაჰპირებია ავსტრიას. აი რას იწერება პეშტიდამ *) ერთის ნემეცურის გაზეთის კორრესპონდენტი: „ოსმალეთის მთავრობამ ღენერალ კლაპკას **) რაღაც საქმე დაავალა ანდრაშისთან. ამ საქმის აღსრულების შემდეგ კლაპკა ნიცაში უნდა წასულიყო და მერე ისევ სტამბოლში დაბრუნებულიყო. მე შევიტყე რომ კლაპკას ანდრაში უნდა დაერწმუნებინა, რომ ოსმალეთის მთავრობას ფიქრშიაც არა აქვს ვენგრების ჯარი შეადგინოს, თუმცა იმედი კი აქვს, თუ დასჭირდა, 50,000 ვენგრიელებს მოაგროვებს საომრად გასაყვანად. ოსმალოს მარტო ეს უნდა ავსტრი-ვენგრიისაგან, რომ ავსტრი-ვენგრია გულით და თანაგრძნობით ოსმალეთისაკენ იყოს.

„თუმცა ოსმალეთმა უარ-ჰყო ავსტრიის წანადადება ჩერნოგორიასთან მორიგების შესახებ, ე. ი. ის წინადა-

*) პეშტი—ვენგრიის სატახტო ქალაქი.

**) კლაპკა—ვენგრიის ღენერალია, რომელიც ამას წინეთ სტამბოლში იყო.

დება, რომლის ძალითაც ჩერნოგორიის ადგილ-მდებარეობა უნდა გადიდებულიყო, მაგრამ ხონთქრის მთავრობა მაინც თანახმა არის დაუთმოს „ვენგრიის კოროლს“ ის ნაწილი ჰერცოგოვინისა, რომელიც უფრო საჭიროა ავსტრო-ვენგრიისათვის დალმაციის უკეთ დასაცველათ. როგორ მიიღებს ეს წინადადებას ვენაში, არა ვინ იცის. მე რო მკითხოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ანდრაშიმ უარ-ჰყოს ეს წინადადება, რადგანაც მას სრულებით არა სურს სამთა იმპერიის ზავის ღალატი.“ აქ ტყუილად კი არ არის მოხსენებული „ვენგრიის კოროლი“ და არა ავსტრო-ვენგრიის იმპერატორი. ვენგრიელების გულის წადილი ის არის, რომ როგორმე გადუდგნენ ავსტრიას და სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოთ დაარსონ. ისინი არას ფერს არა ზოგვენ და ყოველის შემთხვევით ხარგებლობენ, რომ როგორმე აისრულონ თავისი საწადელი. ამიტომ ხელს უმართვენ ეხლა ოსმალეთს, რომ თავის დროზედ შემწეობას რასმეს გამოართვნენ. მეორის მხრით ოსმალეთიც ვენგრიას ეხმარება, რომ მეტი მომხრე მოიპოვოს მტრის განდევნისათვის. ამ ჟამად, როგორც ისმის, ავსტრია ოსმალეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკას დაიჭერსო. საკვირველიც არ არის: უმეტესი ნაწილი ავსტრო-ვენგრიის ხალხისა სლავიანები არიან, და თუ ავსტრიას ჰსურს სიყვარული მოიპოვოს თვის ქვეშევრდომთა შორის, ამ გზას უნდა დაადგეს. თორემ ვენგრიას რომ აჰყვეს, თავის საქმეს წაახდენს, რადგანაც ვენგრია დღეს თუ ხვალე ავსტრიას უკუ უდგება. ძალიან მტკიცე სიტყვის ხალხია ვენგრიის ხალხი, და იგი თავის დღეში შემთხვევას არ დაჰკარგავს თავისი წადილი აისრულოს.

—

**საფრანგეთი.**—საფრანგეთს მეტად არ უნდოდა ომი, მით უფრო რომ დარწმუნებული იყო მომავალი ომი მარტო რუსეთისა და ოსმალეთის შორის კი არ გათავდებაო, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც თან ჩაიყოლიებსო. მამასადამე გერმანიაც ისარგებლებს ამ შემთხვევით და ხელმეორედ აუტეხს ომს საფრანგეთს, რომ რაც 1870 წელს ვერ დაავლო მას, ეხლა გადუხადოს. ეს შიში ამიტომ კი არ აეშალა საფრანგეთს, რომ თავის სუსტობას გრძნობდეს და გული დამარცხებას უთქვამდეს. სრულებით არა. საფრანგეთი რომ ღონე მიხდილი არ არის და ომში გერმანიას არ დაუვარდება, ამას გვიმტკიცებს პირველად ის უშველებელი სამხედრო ძალა, რომელიც ჩვენ წარსულ ნომერში მოვიხსენიეთ, და მეორედ ის სიტყვა, რომელიც ამ დღეებში ღენერალ მოლტკეს წარმოუთქვამს რეიხსტაღში. მოლტკემ სთქვა, რომ საფრანგეთი მშვიდობიანობის დროსაც მზად არის ომისათვისაო, და ამის გამოისობით იმის დაგვალად უნდა ჩვენც მოვემზადნეთო. მოლტკემ ჰსთხოვა რეისხტაღს, რომ მთავრობას ნება მიეცეს ისესხოს ამისათვის საჭირო ფული. მაშ საფრანგეთის შიშს სხვა რომელიმე მიზეზი და სათავე უნდა ჰქონდეს; თუ არ გარეგან მდგომარეობაში ეს მიზეზი შინაგან გაწყობილებაში უნდა მოიპოვებოდეს.

მართალია რესპუბლიკა მხოლოდ ეხლა მკვიდრდება და მხოლოდ ეხლა უშვებს ღრმად ფესვებს. სამერმისოდ საფრანგეთი აპირებდა საქვეყნოდ გამოეჩინა თავისი განახლება და აღდგენა სულით თუ ხორცით. მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ საფრანგეთში არამც თუ არ გამქრალა მაცხოვარი ნაპერწკალი, არამედ უფრო მომეტებულად გაძლიერდა და გაპრიალდა. უნდოდა ეჩვენებინა, რომ თუმცა საფრანგეთი დამარცხებულ იქმნა გერმანიის მიერ, მაგრამ მას მაინც კიდევ ყველაზედ მაღლა უპყრავს ის დროშა, რომელზედაც წარწერილია უკეთესი სიტყვა, უკეთესი აზრი და უკეთესი ღვაწლი კაცობრიობის ისტორიისა. მაგრამ ვინ იცის რას მოასწავებს მომავალი ომი? იქნება გარეგან მტერს შინაგანი რესპუბლიკის მტერიც მიუდგეს, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ბევრგვარი ჰყავს საფრანგეთს, და თუ მიუდგა შინი მტერი,—ავი დღე დაადგება საფრანგეთს. მაშინ ამაოდენა შრომა და ღვაწლი ფუჭად ჩაივლის; მაშინ საფრანგეთს ხელმეორედ მოუნდება გაიაროს ის გზა, რომელზედაც ამ ჟამად დიდი ბიჯი აქვს გადადგმული. რასაკვირველია გერმანია რაც უნდა ეცადოს, საფრანგეთს მაინც სამუდამოდ ვერ მოუღებს ბოლოს. მაგრამ ისიც დიდი უბედურებაა, რომ სიკეთეს და ხალხის კეთილ-მდგომარეობას ერთხელ კიდევ გადუღობონ გზა და ერთხელ კიდევ გაუბან მახე.

აი რისა ეშინიან საფრანგეთს, თუ ომი სხვა სახელმწიფოებსაც გადაედვა.

ბოლოს დროს ისმის, რომ ეს შიში სრულებით უსაფუძვლოაო, რადგან ამ ჟამად გერმანიის შინაგანი მდგომარეობა იმისთანაა, რომ გერმანია ომს ვერ გაუბედავსო. გარდა სოციალ-დემოკრატების მოძრაობისა, სხვა მიდრეკილებაც არის, რომელიც ფეხს უპრის გერმანიის ერთობას და ისევ ადრინდელ ცალ-ცალკედ დაყოფას ემუქრება. ამის გამოისობით გერმანია ცდილობს თურმე დააჯეროს საფრანგეთი, რომ მას ფიქრშიაც არა აქვს ომი. ღმერთმა ქნას!

—აბა საფრანგეთი ომს როგორ არ უნდა ერიდებოდეს, როდესაც რესპუბლიკა დღე-დღეზედ უფრო ვრცელდება, უფრო მეტს თანაგრძნობას პოულობს თავის ქვეყანაში და მით გული ულონდებათ სხვა და სხვა მონარხიელთა დასის კაცებს. ამას წინად დეპუტატთა პალატში რამდენიმე ალაგი დაიცალა და ხელახლად გაიმართა არ-

ჩვენი, არჩევანის გუნში რესპუბლიკელთა კანდიდატებს ამოუყვიდათ. მონარხიელებმა ეხლა აღარ იციან რა ქნან, ხან რას აბრალებენ თავის დამარცხებას, ხან რას. ახლა იძახიან რომ საყოველთაო არჩევანის უფლება (suffrage universelle) საფრანგეთისათვის მავნებელიაო და მას ბოროტი შედეგი მოსდევსო. მაგრამ რადგანაც ამ არჩევანის უფლების გაუქმება შეუძლებელია ვიდრე რესპუბლიკა მკვიდრად არის, ამისათვის მონარხიელები ცდილობენ როგორმე თვითონ რესპუბლიკას მოუთხარონ ძირი. ისინი ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ აგები როგორმე ეხლანდელის სამინისტროს მოთავე, ჟიულ-სიმონი სამსახურიდგან გამოიყვანონ და შემდეგ თავისი მომხრე კაცები დასვან მინისტრების ადგილებზე. პირდაპირ მაკ-მაჰონსაცა სთხოვეს ჟიულ-სიმონი დაითხოვეო, მაგრამ რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი უთხრა, რადგანაც კარგად იცის რომ ამ ჟამად რესპუბლიკელები ისე მტკიცედ არიან ხელი-ხელს გაყრილნი და ერთი ერთმანეთისათვის თავ-დადებულნი, რომ თუ რესპუბლიკის წინააღმდეგ მოიქცა იგი ვეღარ ეღირსება 1880 წლის რესპუბლიკის პრეზიდენტობას. *)

—

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.** სწორედ გითხრათ, ვერაფერს ვერ გაიგებს ადამიანი ინგლისის პოლიტიკისას. ინგლისმა შეუთვალა გომარ-ფაშას რომელიც ოსმალოს სამსახურშია, რომ თუ რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომში მონაწილეობა მიიღო, მაშინ ინგლისის სამსახურიდგან გამორიცხული იქნებიო. გარდა ამისა ყველა ინგლისის აფიცრები, რომელნიც დროებით დათხოვნილნი იყვნენ, ხელმეორედ თავ-თავის ალაგას არიან მიწვეულნი. ეს ამბავი, რასაკვირველია, იმას ნიშნავს, რო ინგლისს, ჯერჯერობით მაინც, არა ჰსურს ომში მონაწილეობის მიღება. შემდეგ, ლონდონიდგან დეპეშა მოვიდა, რომელშიაც აი რა არის მოხსენებული: გუშინ ლორდთა პალატაში ლორდმა სტრატფედესმა რუსეთის მოქმედების შესახებ ჰსთქვაო, რომ ეხლა რუსეთის ევროპიის სურვილის წარმომადგენელი აღარ არისო. ლორდმა დერბიმ სთქვა, რომ ინგლისის მთავრობა არამც თუ არ ეთანხმება იმ აზრებს, რომელნიც გორჩაკოვის ცირკულიარში *) არიან მოხსენებულნი, არამედ უარ-ჰყოფს ყველა ამ ცირკულიარის საბუთსა და დასკვნასაო. რა არის ამ ცირკულიარში მოხსენებული ჯერ არ ვიცით; მაგრამ რაც უნდა იყოს, აქედამ ის გამოდის, რომ ინგლისი რუსეთისაკენ არ არის. და ამ ორპირს ქცევაში რომელი გამოიჩენს თავს, ამას შემდეგი გვიჩვენებს.

—

**ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.** ხონთქარი აბდულ-ჰამიდი დუნაის ლაშქარში აპირებს წასვლას. იმას გამოუცხადებია თურმე თავის ჯარის წინაშე, რომ ან მოვკვდები, ან არა და სტამბოლს გამარჯვებული დავბრუნდებიო.

— ამბობენ ტუუილიაო, რომ ოსმალეთს ჰსურს სერბიის მშვიდობიანობა დაარღვიოსო.

— ვიშინევში მოსულა დერვნალი ჩერნიაევი, რომელმაც სერბიის ომში ვერაფრად გამოიჩინა თავი. ამას წინედ ხმა დავარდა, რომ ჩერნიაევი რუმინიის ლაშქრის სარდლად დაინიშნებაო. ეხლა ამაზედ არა ისმის რა.

— ოსმალეთს რუსის მანიფესტის (ომის გამოცხადებისა) პასუხად ცირკულიარი გაუგზავნია უპირატესთა სახელმწიფოთათვის. ამ ცირკულიარში ოსმალეთი ამბობს, რომ ვერ გაგვიგიაო რუსეთი რისთვის ამხედრდა ჩვენზედაო და პარიჟის შეკრულობის ძალით სთხოვს უპირატესთა სახელმწიფოებს შუამდგომლობა იკისრონ.

— ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლოზს უთქვამს თურმე, რომ სულის დალევამდე ჩემის ქვეყნისათვისვიბრძოლებო.

— ამერიკის შეერთებულთა შტატების მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა უფრო განამძლიეროს თავის ზღვის მხედრობა, რომელსაც სტამბოლისაკენ უპირობს გაგზავნასა.

---

## Თ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲜᲘ.

### I.

სახე შენი შემახვევა, მებადა,
სრულ გამმარცვა რაცლა ცნობა მებადა
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს
მძლერად ოხვრა, ლხინად გლოვა მებადა.

მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს,
შენ წამლის წილ მეის მომაპყარ დანა გულს
ზილფნი ჰქრუევით უარის-თქმის მსახენი
მიჩვენებდენ ბალახშის-კარს დანაგულს.

გული ჩემი მუჯამარი ახალი
სურვილს აგმეს სიყვარულის, ახ! ალი,

---

*) მაკ-მაჰონი 1880 წლამდე არის რესპუბლიკის პრეზიდენტად ამორჩეული.

*) ეს ცირკულიარი უფროდ ომის გამოცხადების თაობაზედ არის გაგზავნილი.

არ ვიგვირგო, მაშა რა ვჰყო ბედ-კრულმან?
იგი გტრფობდა, შენ მახვილი ახალი.

რა მეხშირა შენთა ისართ მალება,
მეტმან ცრემლმან ლაჟვარდის-ფერ მალება,
გლახ ჰყრობილი ამას ვაებს, ვალალებს
ვერ განერა, ესრედ ვითაც მალ ება.

II.

ჰსძგერს გლახ-გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყალავს თმენას,
ჰსცემს სურვილის წამთა ხშირად, მარამ აგრძნოს ვისსა სმენას?
გზის გუშაგად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთურნებენ,
ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზენას;
ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას.
თვით ნიავთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლმოდებულს ლალით გამომზერდა ლხენას.
მახსოვს ოდეს ტრფობის წინად შეიწირე სული ჩემი,
აბა ბაგით შენსა ბალახშს გარდმოვიდა... ჰმადლა ზენას!..
იგი ამად არ გემსხვერპლა რომ მომკლა მოშორვებით...
ვაჰშირ ექმნა ორთა გვამთა ცხოვრებისა ერთად დენას!...
ნუ თუ დაჰკგმო შენსა ჰყრობილს თვისთა გრძნობათ ლაღად მოთქმა?!
რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვასა გრილთა ენას.

---

## პროვინციალური წერილები

წერილი მეორე.

გლეხი და ვაჭრები.—საზოგადო სასწორი.—ტყუილ-გაკოტრებულის ვაჭრების ჩარჩობა.—გლეხზედ საყვედური.—ხარაზხანის ბიჭყა.—მეფაიტონეები.

ჩვენი გლეხობა, როგორც მოგეხსენებათ მკითხველო, მიწის ნაწარმოებით სცხოვრობს. ყოველისფერს გადასახადს იმის საშუალობით იხდის; არ გაჰყიდოს ეს ნაწარმოები, არ გადასცვალოს მარილზედ, ფართალზედ და სხვ., შიმშილ-წყურვილით სული ამოსძვრება. გაჰყიდის და შრომას არავინ უფასებს, პირიქით ატყუებენ. ქვეყნის მაცხოვრებელთ, გამომკვებელთ გამოსაკვებნი—თუ შეიძლება ასრე ვსთქვათ—სხვას ნურას ვიტყვით, არც კი უმადლიან, გ. ი. მარილიან სიტყვასაც არ აგონებენ.—ქალაქის მცხოვრებლებს კიდევ ისრე ვერ მოატყუებენ, როგორც სოფლიდგან შემოსულებს, ამიტომ რომ ამათ ცოტად თუ ბევრად გაგებული აქვთ ვაჭრების პატიოსნება. რა ჰქნას საწყალმა გლეხმა? ყველგან და ყველასაგან ამას ხვდება რკინის მათრახი, რომლის დაღიც საფლავამდის არ ანებებს თავს. აი, ხედავთ, მოდის საცოდავათ წელში მოკაკული გლეხი ხურჯინით მხარზედ; მოაქვს ცოტა რამ გასასყიდი გორში. მისი დამწვარ-დადაგული შეხედულობა: კანჭ შეგლეჯილი და ქელისაგან დაგაწრული გაზეპი, მეტის მუშაობით გაფიჩხებული და დამსკდარი ხელები, დაბინდული, ზარმაცულად გამომზირალი თვალები—ყველა ეს ერთად არა რაიმე, ოღონდ ტოლს მაინც, თანაგრძნობას არ აღძრავს გულ-ქვა ვაჭრებ-სომხებში. პირიქით მოუყვებიან დაცინვას, თავში ცემას, ხან კი ლაქუცობას, რომ რა არის ეგები როგორმე იაფად დასტყუონ გასასყიდი რამე და ან დამპალ ფართალში გაუცვალონ. თუ საზოგადო სასწორზედ ჩაიტანს სიმინდს, ქერს და სხვ., იქაც ხვდებათ ღვიძლი ძმა დაუნდობლობისა.

გორის საზოგადო სასწორზედ სოფლის გლეხობას ყოველივე საჭირო საქონელი შემოაქვს, რასაც კი ენა და პირი იტყვის. ეს ადგილი არის ყოველ დილით გადამდგარის ვაჭრებით სავსე, იმ ვაჭრებით, რომელთაც ჯიბე გაუტენიათ ტყუილის გაკოტრებით, ან გული მოუსუყებიათ ფულებით, ან მოსწყენიათ ფართალ-ფურთალის ყიდვა-გაყიდვა და სხვა მოსახვეჭ გზას შესდგომიან. იტყვის კაცი, ამ სვაგებს რა უნდათ, რად ეცილებიან ღარიბებს, რომ იაფად იყიდონ რამე? ხომ ამ სვაგებს წლის სარჩო, ყოველივე სანოვაგე სახლში აქვთ და რაღად უშლიან ხელს საცოდავებს? ამ ადამიანის ტყავებს გლეხების სისხლი არ ასვენებთ, საფლავშიაც რომ ჩასვმახონ: ადექ, სული ამოჰხუთე ვისმესო, იქაც კი შეიძრევიან.—შემოვა თუ არა რამე სასწორზედ, მაშინვე ესენი მისცვივიან გლეხებს, შეევაჭრებიან, დაუწყობენ ჩარჩობას, დაუფოლებენ საქონელს, ჩააცივდებიან ცხენის ბუზივით, რომ იაფად დასცინცლონ. ქერს, სიმინდს, ლობიოს—ერთის სიტყვით, ყოველ ხორბლეულს ხელიდგან არ გაუშვებენ, აგროვებენ ბლომად სარდაფებში და მერმე ერთბაშად მამასისხლად ჰყიდიან. დებულებისა დ ჩვეულების ძალით კი ნება არა ვისა აქვს ყიდვისა, უკ თუ სახლში საზრდო უკვე შეტანილი აქვს.—ჰხედავთ მოდის საცოდავი ქვრივ-ოხერი, ჩადრში ამოსუსულ სდგას, და რომ არავინ დაცლის ყიდვას, წავა გულ ჩა თუთქული სახლში.

გაძღა ქოთხუდობა ტყუილის ლაპარაკით, ჩაიგდ ხელში იაფად სისხლის ოფლით მონაგვარი გლეხისა, დაბ რუნდა სახლში, გზაზედ შეხვდება თვისივე ჯიშის კაც და შეებმით ამგვარი ლაპარაკი: „ოო, პეტრუზ, საი

ყოფილხარ, რაები გიკვირს?" ეუბნება სერგუს.—ბევრი არაფერი, ერთი ათიოდ კოდი სიმინდი ვიყიდე. ამიტომ კაი ფასს დაიჭერს. რა ვქნა, ჩემო სერგო, ცხოვრება გაძნელდა, თუ ესრე არ ვიფორფოტე არ იქნება, თავს არ მოგვა..., ერთი ფურაული გააქვს, თუ რა ნაირ გაცუდ-ლუტდა გლეხ-კაცობა: უბები გვერდზედ მამიქცია." ჰო, თუ ისიც მიიღოთ შემდეგ, გაუმაძღარო წურბელებო, მაშინ ფუპატნებულან გლეხები, თუ არა და გაღატაკებულან?—ნუ გეშინიათ, მაინც თქვენ ვერ მოგივლენ ოსტატში, ბევრი ხანი გაივლის, მაგრამ თქვენც კი მოგივათ დრო „უეტეს ტყეში გლიკვინისა."

ისტღრებენ, წასძინებენ და გამოისუერნებენ შუა ბაზრისკენ. აქ აქვთ ერთი ადგილი ამოჩემებული. ყოველი ქეთხულად ბედნიერად რაცხს თვის თავს, რომ უთუოდ ამ „ბირჟაზედ" გაჰყიდის, რომელსაც მე ხ ა რ ა ზ ხ ა ნ ი ს ბ ი რ ჟ ა ს დავარქმევ, რადგანაც შუა დაწყეულ ბაზრიდგან გვერდისად ჩადის ქუჩა, რომლის თავმხარეზედ ხარაზხანის სხედან. *) შეიკრიბებიან, მოჭყვებიან და ამ მამისას, იმ მამისას, ჭორიკანობენ დედა-კაცებივით, ჭკვიანმენ ხალხს, ჩურჩულით არ გამოეპარებიან ქალაქისა, რომ ამათ არ ეცოდნებს: „გაიგე იმის ქალს რა უქნია? წუხელის ყვავის ძრების თვის დასდევდა!?"—იმ რა არის, ხომ „ისეიანონი" ქალს ბუშში ჰაუბდია!"—ყოველი საკვირველი არ გაგვიგონებია წუხელის ოფოფაიტონის ქალი მოუტაცნია. გაიგე რა ამბავია! სწორედ შამიდოფსა! აი, შეარცხვინათ ღმერთმა!" ამ გვარს ლაპარაკს ბევრს გაიგონებთ მკითხველო, სხედამით რიგ-რიგ მოსხარედ სჯიან პატიოსნებაზედ, ზნეობაზედ, როგორც დაიცინებიან ამან ეს ცუდი ხაიდოს და იმანი ესაო, რა მწედია ეს ოხერი, რომ კაცი თავის თვალში ტივის ხეს ვერა ხედავს. ესენი არ იყვნენ ამავე დილით, რომ ტვინსა სწოვდნენ გლეხობას, ესენი არ იყვნენ დილიდგან ბირჟაზედ გამოსვლამდის მატყუარობდნენ?

ჩვენებური მეფაიტონეები, რომ სამიში ხალხის—ამაში მეტი არ არის. რა კი მობინდდება, ქალი მარტოკა, ბავშვის სინაზარა, ვერ ჩაჯდება ფაეტონში. მეფაიტონე მაშინვე ქალაქს გარედ რომელიმე მოშორებულ დუქანში ამოაყუდებს, თავს აცოდავს მსხვერპლს და მოუგდებს პაყარნებს. ერთმა ამ გვარმა მაგალითმა დაგვიმტკიცა ეს ცხადად. ქალაქის კლუბში, სალამოთი, იყო რეპეტიცია კომედიისა „ქმარი ხუთის ცოლისა," რომ გათავებულა რეპეტიცია, ერთი ხნიანი ქალი ჩამოსულა, შაღში გასულა, დაუძახია ფაიტონი შინ წასასვლელად. მეფაიტონეს ჰგონებია, რომ უთუოდ ქმარვილი ქალი მომქმედთა ბიროვნებთ არისო და გაუქანებია ქალაქს გარედ. გამოუსვამს რა დუქანში და შეუხედნია სახეზედ, მაშინვე უნებებია თავი ქალისთვის ფაიტონიდანათ და მოუქნევია. შეძრწუნებულა მოიყვანა ქალი ბინაზედ. წარმოიდგინეთ, მეფაიტონეს ვერ იპოვეს. განა ვერ იპოვნიდნენ? ფაეტონი ხელში არ ჰქონდათ? მედუქნეს ვერ აპოვნინებდნენ? ფაიტონი ხომ ამის ხელში იყო? მედუქნეს შეუტყვეს, ერთი დღით შეამწყვდიეს ჯურღმულში და მასუკან თურმე დიდი სასჯელი მისცეს. არც ამისთანა სასჯელი უნდა. ერთიც ვნახოთ ვერ აქტანს, მერე?.. იცი, მკითხველო, რა საშინელი სასჯელი მისცეს? ამის ენამ ვერ გამოსთქვას.... ა რ ა ფ ე რ ი!!!.. რა უშავს, რა უშავს!

უმაწვილი, ქალწული ქალი, რომ წაეყვანათ, უნამუსობა ექმნათ, სამუდამოდ სახელი გაეტეხათ, მაშინ რაღას იქმოდნენ, მკითხავს მკითხველი. ეე, მე დალოცვილო! რა დაგემართა! რით ვერ მიხვდით. თქვენ ნუ მოგიკვდებით, მგონია აქაც... „არაფერით" დასჯიდნენ... რა უშავს, რა უშავს!

წაგოლა—ც.

*) ეს „ხარაზხანის ბირჟაზე" დიდხანს ყურადღებისა, მაგრამ აქ იმაზედ ბევრს ვერ ვიტყვი და მეორეში წარმოგიდგენ მკითხველს უფრო ვრცლად ამის სახეს.

---

## ოსმალოს საქართველო

საქართველოს თამარ მეფის შემდეგ მთელის ექვსასის წლის განმავლობაში აურებელმა მტრის შემოსევამ დაასუსტა ჩვენი მიწა-წყალი ერთობა, ერთმთავრობა და დაჰყო საქართველო ნაწილ-ნაწილად. ჩვენი დიდება-ლება, ჩვენი მიწასთან გასწორება, ჩვენი ქვეყნის ამოწყობიდამ დაიწყო. ჩვენ ერთის დიდის ოჯახის შვილნი, ერთის სისხლისა და ხორცისანი, ურთიერთის მტერი გავხდით ერთმანეთისა და ეს მშვენიერი საქართველო, ერთობით ძლიერი, დაირღვა, დასუსტდა. შევიქენით ურთიერთის მოპირდაპირედ, ძმები ერთმანეთის მტრად გადავიქეცით, ვქიშპობდით, ძმა ძმასა ვსოცდით და ამაში დაილია კიდეც ძლიერი სული საქართველოსი. დაიყო საქართველო სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სამთავროებად (სათაბაგო, ოდიშ-დადიანი ანუ სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი.) იმოდენა ღვაწლი მამა-პაპათა საქართველოს ნაწილების შეერთებისათვის, იმოდენა სისხლი, ვახტანგ გორგასლანიდამ დავით აღმაშენებლამდე დაღვრილი ქართველთა ერთობისათვის და დასასრულ თვით ამ ერთობის დამკვიდრება ჩვენის სასიქადულო თამარ მეფისაგან,—ეს დიდი შრომა და ღვაწლი ისტორიული გაუქმდა და გაუქარწყლდა საქართველოს

ერსა უწყალო ბედის ბრუნვითა. წარსულს საუკუნემდე ვიყავით ესე ერთმანეთს მოშორებულნი. ხოლო ამ დროდამ იწყობა ხელახლად ღვაწლი და მეცადინეობა დარღვეულთა ნაწილთა შეერთებისათვის. ქართლ-კახეთი შეერთდა მეფე ერეკლე II დროს. იმერეთსაც სურდა შემოერთება და სთხოვდა მეფეს ერეკლეს იმერეთის სამეფოის მიღებას, მაგრამ მეფე ერეკლემ უარ-ჰყო თხოვნა იგი, „ჩემს შვილს როგორ გამოვწირავო". მაინც და მაინც შესდგა შეკრულობის კავშირი მეფეთ-მეფის საქართველოისა, ესე იგი, ქართლ-კახეთისა, იმერთა მეფისა, და მთავართა ოდიშ-ლეჩხუმ-სამეგრელოსი და გურიისა. ეს კავშირი იყო მტრისაგან საერთოდ დაცვისათვის, ანუ მტერზედ საერთოდ ამხედრებისათვის.*)

ამ ბოლოს ჟამს ბედი სხვა ფრივ დატრიალდა და ამ ჟამად საქართველოს ვხედავთ ორად გაყოფილს რუსეთისა და ოსმალოს შორის.

რუსეთს უჭირავს მთელი ქართლ-კახეთის სამეფო, საათაბაგოს ნაწილი (ახალციხის და ახალქალაქის მაზრები), იმერეთის სამეფო, ოდიშ-ლეჩხუმ-სამეგრელოსი, სვანეთისა, აფხაზეთის სამთავროები და ნაწილი გურიის სამთავროსი. ესენი შეადგენენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის სამხედრო განყოფილებასა.

ოსმალეთს უჭირავს გურიის სამთავროს და საათაბაგოს ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ერუშეთი, ლივანი (ძველი ლიგანი) და ჭანეთი, ანუ ლაზისტანი. ეს ნაწილები ამ ჟამად ერთს სანჯახს შეადგენენ და ჰქვიან ლაზისტანის სანჯახი.

ოსმალოს საქართველო მდებარეობს შავის ზღვის პირად, დაიწყობა სადაც ჩოლოქი მდინარე ზღვას ერთვის და ვრცელდება ტრაპიზონამდე თითქმის ორასს ვერსტამდე, ხოლო ჩოლოქი შესართავიდამ გურიის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრათა სამზღვრებზე განზიდულია ას სამოც ვერსტამდე.

გურიის მიჯნაზე ქობულეთია, მისის ქალაქით ბათუმით; ამის სამხრედ ახალციხის მაზრის მოსამზღვრედ ზედა და ქვედა აჭარაა; ამის სამხრედ ახალქალაქის მაზრის მოსამზღვრედ ერუშეთია. აჭარას სამხრეთ და ერუშეთის დასავლედ შავშეთია, აჭარასა და შავშეთის დასავლეთს ლივანაა (ძველი ლიგანი); ლივანის დასავლეთ ჭანეთი, ანუ ლაზისტანი.

ოსმალოს საქართველოს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, თითქმის ამოდენა ადგილი უჭირავს, რამოდენაც ქართლ-კახეთსა. ადგილ მდებარეობა მთიანია ასე, რომ ვაკე მინდვრები ქართლისა და სამეგრელოსავით ფართო აქ ვერ მოიპოვება. უფრო ვიწრო მინდვრები ჭოროხის გაღმა-გამოღმა და აგრეთვე ჭანეთშიაც. უმთავრესი მთები არიან ჭანეთისა, ანუ პონტოსი, რომელნიც ბათუმს იქით დასავლეთიდ იწყება, მიდის შავის ზღვის დასწვრივ, ზღვისა და ჭოროხის შორის და ტრაპიზონს იქით გადადის.

მერე აჭარის და ახალციხის მთა, რომელიც გურიასა და ახალციხის მაზრისა და აჭარის სამზღვარზეა. ამის სამხრეთ ერუშეთსა და შავშეთს შუა არსიანის მთა მისდევს. ჭანეთის ანუ პონტოს მთის უდიდესი წვერი თითქმის სამის ვერსტის სიმაღლისაა. ეს მთები ყოველ მხრივ სერ-სერად და ქედ-ქედათ არიან დაყოფილნი, ამის გამო მთელ ოსმალოს საქართველოს იმ გვარივე სანახაობა აქვს, როგორც ზემო იმერეთს, ანუ ქსნის და არაგვის ხეობასა.

ოსმალოს საქართველო წყლებით მდიდარია. უმთავრესი მდინარენი არიან ჭოროხი, რომელიც ორას ორმოცდა ათ (250) ვერსტზე მიმდინარეობს ზღვის ჩასართავამდის ჭოროხის ხეობაზე, ზოგან ეს წყალი ნავთ მატარებელია. მეორე არის მტკვარი, რომელიც მომდინარეობს 150 ვერსტს და ჩამოუდის ქალაქ არტაანს. არიან კიდევ მდინარენი ფოცხოვი, აჭარის წყალი და გურიის სამზღვარზე ჩოლოქი, და სხვა მრავალი წვრილი წყლები. ეს წყლის სიუხვე და აგრეთვე შავის ზღვის სიახლოვე დედა მიწას და მთებს ნაყოფიერ ადგილათ ხდის და როგორც იტყვიან ქვაზედაც კი ხე ხარობს. როგორც გურია და არაგვის ხეობაა მწვანით შემოსილი, აგრეთვე ეს ადგილები მშვენიერის მდიდარის მცენარეობით აღყვავებულია და ყოველი მცენარე, რომელიც ქართლ-კახეთ-იმერეთშია, იქაც მოდის. ამას გარდა ხარობს ზეთის ხილი, ლიმონი და ფორთოხალი, რომელიც ჩვენში იქიდამ მოაქვთ.

უპირველესი სარჩო ხალხისა სიმინდი, ღომი, ქერი და ხორბალია. შესანიშნავია ერთი გარემოება, რომ ჭანეთში მინდვრის მუშაობაზე დედაკაცია და მამაკაცი კი ვაჭრობს. სულადის მოყვანის გარდა აქაური მცხოვრებნი საქონლის და პირუტყვის მოშენებას მისდევენ, ძროხის ცხენის, ცხვრისა და თხის შენახვა იციან. მოჰყავთ თამბაქო და ზეთის ხილი. საერთოდ ხალხი ფრიად შრომის მოყვარეა. ზღვის პირას მცხოვრებელნი უფრო ვაჭრობას მისდევენ, თავისი საკუთარი ნავები და გემები აქვთ და სხვა და სხვა მოსავალი სავაჭროთ მიაქვთ სტამბოლს და მარსელს.—ზღვის პირს მოშორებულნი ხეობათა მცხოვრებელნი ხვნა თესვაზე და საქონლის მოშენებაზე არიან. ჭანები ძალიან მოვაჭრენი არიან, შორს დადიან. ხელოსნობაც იციან, ასე რომ ხუროები იმათგან ბევრნი გამოდიან, გურიას იმერეთს და თვით ქართლს.

*) იხილე „ცხოვრება" გიორგი XIII, პლატონ იოსელიანისა.

იქაურ ცხოვრების მოთხოვნილების დაგვარად, ხალხს კმაყოფილი სარჩო მოსდის. ოჯახობა და სახლ-კარი კარგად და ფაქიზად მოწყობილი აქვთ. იქ ყოფილს კაცს უკვირს იმათი სისუფთავე და სიფაქიზე. შენობა ადგილისა დაგვარად ზოგან ქვითკირისაა, ზოგან ხისა. ქვითკირისა შინ[illegible] გალესილია. მთელი ეს ქვეყანა მოფენილია ძველის მეფეების ციხეებითა და ეკლესიებითა.

უმთავრესი ქალაქები საქართველოს ოსმალეთისანი არიან, ბათუმი ზღვის პირას, მთელი შავი ზღვის ნაპირების ნავთსაყუდელთა შორის უკეთესი ადგილია. მეორე უმთავრესი ქალაქი სანჯახის შუა ადგილას ჭოროხზე ართვინია, რომელშიაც სცხოვრებს 15,000 სული, ამათში უმეტესი ნაწილი ქართველია, სხვანი სომეხი და ოსმალონი არიან. ამათ გარდა სხვა ბევრი პატარა ქალაქები და დაბებია.

საერთოდ მთელი ოსმალოს საქართველო მცხოვრებლებით მჭიდროთ არის დასახლებული ასე, რომ ზოგნი ჰგონებენ ნახევარ მილიონს სულს და ზოგნი ჭანეთით ერთ მილიონ სულამდინ ჰსთვლიან, ესე იგი თითქმის იმოდენა ხალხსა სთვლიან რაც ქართლ-კახეთ-იმერეთში მცხოვრებელია. მარტო ქვედა და ზედა აჭარაში მცხოვრებელთ სთვლიან 200 დგან 300 ათასამდე, რომელთაგან 60,000 მსროლი მეთოფე გამოდიოდა თურმე.

მთელი ოსმალოს საქართველო დასახლებულია უმეტესად ქართველებით და ჭანებით. ძალიან ცოტ-ცოტად არიან აქა იქ გაფანტულნი სომეხნი, ბერძენნი, ოსმალონი და ჩერქეზნი. ამათი რიცხვი ხუთი ათას კომლზედ მეტი არ არის.

ქართველები ლაპარაკობენ ქართულად და ჭანები მეგრულად, მაგრამ საერთოდ განვრცელებულია ქართული ენა, რადგანაც ჭანებს დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ, როგორც აჭარისაკენ, აგრეთვე გურიას, ქართლს და თვით ტფილისშიაც. ერთობა სისხლისა დღევანდლამდე ახსოვთ. იციან, რომ ისინი ქართველის ტომისანი არიან, ერთ დროს საქართველოს სამეფოსთან შეერთებულნი იყვნენ და ვახტანგ გორგასლანს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს და თვით მეფე ერეკლესაც იგონებენ, თუმცა ამ უკანასკნელის მეფის დროს იგინი ჩვენგან განშორებულნი იყვნენ.

ჩვეულება, ხალხის რწმუნება, ყოფა-ცხოვრება იგივეა რაც ქართლ-კახეთში. ძველი ეკლესიების პატივის ცემა, და დღესასწაულის გადახდა, სამღვთოს შეწირვა ისევე დარჩენილა, რაც აქვთ არის. სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ჩვეულებით ხასიათით და ენით დღესაც ქართველნი არიან თითქმის ყოველსფერში.

ქართული ენა თითქმის შეუცვლელი აქვთ, შინაურობაში დღესაც დიდი და პატარა სულ ქართულს ლაპარაკობს, მიწერ-მოწერაშიაც ერთმანეთში ქართულს ხმარობენ. რომ ქართული ენა თითქმის შეუცვლელია ოსმალოს საქართველოში, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს აქ სოლადას ლექსი, რომელსაც აჭარაში ყველგან სამღერალად აქვთ და რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეში იმერეთში და თუ ქართლ-კახეთში, ხევსურეთში და სხვაგან, საკვირვლად მოფენილი და გავრცელებულია. ეს ლექსი ქართლ-კახეთის კილოთია აქამომდე დაბეჭდილი სხვათა შორის „დედა ენაში“ და აქ გბეჭდავთ ნამდვილის აჭარულის კილოთი. *)

## სოლადას ლექსი

სოლადა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის ბარზეა,
რვა დღე და ღამე იარა, ჩევდა ხონთქარის კარზეა.
რაცალა ბედმა უსაქმა, ვეზირი დახუდა კარზეა.
სოლადა კოცნის კალთასა, ვეზირი კოცნის თავზეა.
— ჩვენცა ერთი არაბი გვყავს, გათქმული გურჯისტანზეა.
შენ თუ იმას ეჯირითო, თულებ 1) დაგადგამ თავზეა.
ფაშიობას შენ გაჩუქამ იმ ახალციხის კარზეა.
სეისები 2) გამოცვივდნენ: რა გადახდება თავზეა?
— სეისებო ნუ გეშინჲა, 3) ცხენი მომგვარეთ კარზეა.
ყოუშვეს და გამეიყვანეს, ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა.
ხუთსა სეისსა უჭირავს, ვერ იმაგრებენ გზაზეა.
გეიარა და გამიარა იმ ჯირით-მეიდანზეა;
შავარდნულებ შემოკივლა, ხონთქარი დასძრა ტანზეა.
არაბი მოდის-მოკივის, ვით ნიავქარი მთაზეა;
სამი ჯირითი უმევს იმ გაშავებულ მკლავზეა,
სამსავ სოლადას აქადნის, რა გადახდებს თავზეა.
— აბა გიმექეც სოლადა, მოგუვე ულურის 4) კვალზეა.
ერთი ჯირითი ესროლა, არ წეიკარა ტანზეა,
მეორეც რომ გაისროლა, მოხუდა ცალ აბჯანდაზეა.
ცალდა აბჯანდა შეაწყვიტა, გადგა ცალ აბჯანდაზეა.
რას შურები ოხერო მგლავო, თვალი მეჭირა სხვაზეა!
— აბა მობრუნდი, არაბო! მოგუვე ღუთის სამართალზეა.
ერთი ასეთი დაჰკივლა, ფერი უცვალა ტანზეა;
ცხენი ცხენზე შეაჯდინა, ჯირითი დაკრა ბეჭზეა.
არაბი ძირს გადმოვარდა, სული არ დაჰყვა ტანზეა!

---

*) დაწერილია ქვედა-აჭარის სოფლის მერისის მცხოვრებლის სიტყვით.

1) თული, ჯიღა, ფაშის ნიშანი თავზე დასადგმელი.
2) სეისი — მეჯინიბე.
3) გეშინჲა — უნდა წაიკითხებოდეს როგორც გეშინდა.
4) ულური — ბედი.

მოლიები, ხოჯიები ქითაბსა 5) ბერტყენ თავზეა.
ქობმ-მითაბი ქარს არ იქს, ქურქი წაბურეთ თავზეა.
სოლდალსა შეეშინა, ჰაჰუცებს ჭყრიდა გზაზეა.
შენ სოლდალა ნუ გეშინდა, თუღებ დაგადგამ თავზეა.
ფაშორობას შენ განუქამ იმ ახალციხის კარზეა.
— მურად-მურადის 6) ჭირიმე, კარგა ისაქმე გზაზეა,
სალდა მიგვიყვან თემსა, ქილიკით 7) დაგიდგამ ქარსა.
აბრეშუმის ფოროჩას 8) მოგცემ, სანდით დაგაბამ ფერსა,
ყოვლის ვასტის 9) ლოცვაზედ შენ შეგახვეწებ ღმერთსა:

[illegible]

## ზოგიერთი რამ

ჩვენ ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხ.

### I.

ათონის მთიდამ მოტანილის ძველის წიგნის გამო.

ამას წინად ათონის მთიდამ მოვიდა ერთი ქართველი ბერი, სახელად ბენედიქტე. ბენედიქტემ გვიამბო, თუ რა მდგომარეობაშია ახლა ძველი ქართველების მონასტერი ათონის მთაზე, სადაც ამ ჟამად იღვწიან 15—20 ბერი ქართველთაგანნი, უფრო იმერეთიდამ გასულნი. ივერიის ანუ ქართველების მონასტერს მეელადვე პანტოკრატის მონასტერს უწოდებენ. ამ მონასტრისათვის საქართველოს მეფეებს და კერძო პირთ მრავალი ვენახი და უძრავი მამული უბოძებიათ. მეათე საუკუნიდამ დაწყობილი ვიდრე ჩვენ დრომდე ქართველნი ბერნი შეუწყვეტლად მოღვაწეობდნენ ამ მონასტერში, სადაც სამღვთო და საეკლესიო წიგნები ნათარგმნი ბერძნულიდამ ქართულს ენაზე და აქამომდე დაცულია შესანიშნავი ქართული ბიბლიოთეკა. ახლა ეს მონასტერი სრულებით დახშულია თურმე ქართველებისათვის. ბერძნის ბერები ქართველ ბერებს მონასტერში აღარ უშვებენ. ამის გამო მამა ბენედიქტეს თაოსნობით იქაურ ჩვენ ბერებს ივერიის მონასტრის მახლობლად უყიდნიათ პატარა ადგილი, სადაც აღუშენებიათ ახალი მონასტერი და სადგომი სენაკები.

ბენედიქტემ გვიჩვენა მისგანვე ათონიდამ მოტანილი ძველი ეტრატზე ნაწერი წიგნი. მხოლოდ ეს ერთად-ერთი წიგნი როგორღაც შემთხვევით გამოუტანიათ ჩვენ ბერებს პანტოკრატის მონასტრის ბიბლიოთეკიდამ. აქ შესვლა იმათთვის ისეა აკრძალული, როგორც მონასტერში. წიგნი არის დაწერილი სხვა და სხვა ხუცურის ხელით და ადვილად საკითხი. ამ წიგნს ჩვენ განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციეთ იმისთვის, რომ მომეტებულად ის დაწერილია გიორგი მთაწმინდელისაგან, რომელსაც ჩვენ ვწამებთ თარგმანს სახარებისას ანუ როგორც უწინ იტყოდნენ, ოთხ-თავისას. ერთის სიტყვით ის ეკუთნის მეთერთმეტე საუკუნეს და შეიცავს: 1) იოანე დიდის და წმინდა ექვთიმეს ცხოვრების გარდმოცემას, იოანე მთაწმინდელისაგან შედგენილს და გადაწერილს. აქ არის ნაამბობი, ვინ იყვნენ იოანე და ექვთიმე, ვინ იყო თორნიკე და რა სამსახური გაუწია ამან საბერძნეთის განდგომილის სკლიაროსის დამარცხებით და აგრეთვე რა გვარი იყო ის ცნობილი დავით-კურაპალატის სამსახურში და ათონის მთაზე. აქვეა მოხსენებული ივერიის მონასტრის აღშენება მეათე საუკუნეში ათანასესაგან და სხ., 2) ილარიონ ქართველის ცხოვრება, 3) იოანე ღვთის-მეტყველის ცხოვრება, „თარგმნილი წმინდისა მამისა და განმანათლებელისა ჩვენისა ახლისა ოქროპირისა, ექვთიმე მთა-წმინდელისა,“ დაწერილი მიქელ დადალისონელისაგან, 4) სალოცავები და 5) „აღაპნი მონასტრისა ჩვენისანი, ვინაითგან აღშენებულ არს—ვიდრე აქამომდე.“

ამ წიგნში როგორათაც გიორგის და ექვთიმეს ცხოვრება, აგრეთვე „აღაპნი“ შესანიშნავნი არიან ჩვენთვის, რადგანაც დიდ მასალას შეიცავენ ქართლის ცხოვრებისათვის მეათე საუკუნიდამ დაწყობილი ვიდრე მეთორმეტე საუკუნემდე. გიორგის და ექვთიმეს ცხოვრების პირი იპოვება სანკტ-პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიაში. აქედამ გამოუკრებია ძველის დროს ქართლის-ცხოვრებას ზოგიერთი თავისი ცნობები; „აღაპთ“ ცნობები კი არსად არ შეგვხვედრია. რას ნიშნავს აღაპი ჩვენში, ვგონებთ, ყველამ იცის. ვთქვათ რომელიმე პირმა რაიმე ღვაწლი დასდო, რაიმე განძი შესწირა ეკლესიას ანუ მონასტერს, იმის სახელს აღაპად დასდებდნენ, ესე იგი, ბერება დააწესებდა, რომ ამა და ამ დღეს იმ პირს ეწირონ ანუ ულოცონ. მრავალი საქართველოში ძველი წიგნი აღაპ წარწერილები. ჩვენ ვიცით რამდენიმე ამ გვარი წიგნი, პარიჟში ანუ პეტერბურღში შემთხვევით წაღებული, რომელთაც იქაურნი მეცნიერნი-არხეოლოგნი აღაპების გამო დიდ მნიშვნელობას მიაწერენ, რადგანაც აღაპები ხან და ხან მოიხსენებენ ისტორიულ პირთ, რომელნიც ან არ არიან თვით ისტორიაში მოხსენებულნი, ან რომელსამე შემთხვევას ნათელს მოჰფენენ. ამგვარნი არიან ათონის მთის წიგნის „აღაპნი.“ ისინი შესდგებიან 150 მოკლე აღაპებით. ამ სხვათა შორის ის პირნი, რომელნიც აღაპებში არიან მოხსენებულნი და რო-

---

5) ქითაბი — მაჰმადიანთა სამღვთო წიგნი.
6) მურად-მურადი — ცხენის სახელი. სიტყვა მურად ნიშნავს წადილს.
7) ქილიკი — საწყალო როგორც გინდა.
8) ფოროჩა — თარგი.
9) ვასტის — ჟამის დროს.

მქონი შორის ზოგნი ცნობილნი არიან ქართლის-ცხოვრებაში, ზოგნი ეხლა-ქვეშ გვყავნან და ზოგნი სრულებით არსად არიან მოხსენებულნი. იოანე სვინგელოზი (დიდი იოანე), ნიკოლოზ პეტრიწონელი, პეტრიკი და ძმა მისი იოანე (ბაგრატ მეოთხის დროს მეათე საუკუნის გასულს), ბაგრატ აფხაზთა მეფე, ლიპარიტ ორბელიანი იმავე დროს), თვარსმან და გიორგი ჩორჩანელნი (თორნიკის ნათესავნი), გრიგოლ და იოანე ქობულისძენი, ერისთავთ ერისთავი აბუსერისძე, ლიპარიტის ძე იოანე; გიორგი ოლთისარი, კონსტანტინე პროედროსი; იოანე ექვთიმეს ძმა, თვარსმან თმოგველი, ბაგრატ კუროპალატი; გიორგი მაგისტროსი, კონსტანტინე მონომახი, მარიამ დედოფალი, ბაგრატ კუროპალატის დედა, სამოელ ქუთათელ-მთავარ-ეპისკოპოსი, აბულაზ სანისძე, მისგან მეფე (ბერძენი), მამა არსენი თვარსმან, ყოფილი აბაზ ბაკურისძე და ძე მისი გრიგოლ, იოანე ხარტულარი, ილარიონ პროედროსი, სუმბატ კუროპალატი და ცოლი მისი მარიამ, დავით ასური, გიორგი მეფე (დავით აღმაშენებლის მამა), დედოფალი მარიამ, მართა ყოფილი და ძე მისი კონსტანტინე პორფიროგენი, ევფროსინე პროტოსევასტოსი მეუღლე მიხაელ პროტოსევასტოსი ვარძან კონსტანტის ძე და მეუღლე მისი ბასილაკის ასული მარიამ, თამარ დედოფალი და სხვანი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თამარ დედოფლის აღაპი ნართულია შემდეგ საუკუნეში, ესე იგი თვით თამარ დედოფლის დროს. ყოველნი პირნი „აღაპთანი" ეკუთვნიან უმაღლეს საზოგადოებას. ჩვენ მხოლოდ [illegible] რომ ქართველი ქალი ყოფილა და კონსტანტინე პორფიროგენისა, რომელიც იყო ვიზანტიის იმპერატორი მეათე საუკუნეში და რომელიც თავის თხზულებაში აგვიწერს საქართველოს ნაწილს მესხეთს. აღაპებში ნართულია აგრეთვე ქაიხოსროს ცხოვრება (1448 წლისა), და სხვათა ათაბაგთა შემდეგში. აქვე ვპოულობთ სამ წარწერას, იმათში შესანიშნავია ორი: თბილელ ეპისკოპოსი ელისესი 1640 წ. და ქუთათელ ყოფილის ქართლის არქიეპისკოპოსის ტიმოთესი 1755. ეს ის ტიმოთეა, რომელიც, როგორც ვიცით, ამ წელს საქართველოდამ ათონის მთას მივიდა და თავის მოგზაურობაში გადმოგვცა ცნობანი ივერიის მონასტერზე. ტიმოთეს ზოგიერთი თავისი ცნობა თვით აქ მოხსენებულის წიგნიდამ აქვს გამოკრებული.

ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ საქართველოს საზოგადოებამ ამ არხეოლოგიურ საგანს ყურადღება მიაქციოს, რადგანაც ის ამ გვარ საგანს არ ეწყობა. ჩვენ არც იმ განზრახვით შევეხენით ამას, რომ საზოგადოებისთვის გვეხარებინა რომ აი ეხა და ეს დიდად შესანიშნავი ძველი წიგნი გიპოვეთო. ჩვენი გულის-წადილი აქ სრულებით სხვა არის, რომელსაც გიმეორებთ, ყველანი თუ არა, ის პირნი მაინც მიაქცევენ ყურადღებას, რომელნიც ჩვენ წინაპართ მოღვაწეობას და ცხოვრებას ბევრად თუ ცოტად იცნობენ. არა ვკარგავთ ნუგეშს, რომ ამგვარნი პირნი იპოვებიან ჩვენ შორის.

საქმე აი რაშია. იქ, სადაც ხალხს გონება გახსნილი აქვს, სადაც ესმის, რაში მდგომარეობს იმისი აწმყო და მომავალი კეთილ-დღეობა, იქ საკუთარს წარსულს ცხოვრებასაც საზოგადოების აზრში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორათაც იმის აწინდელს და მომავალ სვესა. აქ ამბობენ: თუ გსურს წარმატების გზას დაადგეთ, უნდა გამოიკვლიოთ ჩვენი საზოგადო თვისებანი, შევისწავლოთ ჩვენი ბუნება, ძველი და აწინდელი. ევროპის პირნი, სახლის-წულნი, რომელთაც კი ესმისთ თავისი სახლის ღირსება და პატიოსნება, ყოველთვის ინახავენ თავიანთ მამა-პაპათ სურათებს და ღირს-სახსოვარ საქმეებს, რომელნიც აღამიანს ამხნევებენ და აწვრთნიან. თუ რომელიმე სახლის-წული ივიწყებს თავის წინაპართ, ის ივიწყებს და ამცირებს თავის თავს. ასეა მთელი ხალხიც. განათლებულ ქვეყნებში წარსულის დროების ცნობის მოყვარეობას საზღვარი არა აქვს. არა თუ მართებლობანი, თვით კერძო პირნიც არა ზოგავენ ღონისძიებას ძველისა და უძველესის დროთ გამოსაკვლევად. ღრმად სთხრიან დედა-მიწის გულს, იქ ეძებენ თავიანთ წინაპართ კვალსა და სამკვიდროს, რომ მიხვდნენ რა თვისებისანი ყოფილან, რა გვარი ცხოვრება ჰქონიათ. ძველ ტაძრებს და სხვა გვარ შენობებს უფრთხილდებიან და უვლიან, რომ საშვილიშვილოდ დარჩნენ, რომ ბოლოს ჩვენი სახელი ძვირად არ მოიხსენიონ. თვით მმართველობათაგან სასტიკად და სასჯელ ქვეშ არის აკრძალული იმათი ხელ-ხლება და შეურაცხყოფა. ძველი ხელ-ნაწერები, ძველი სამკაულები ამ გვარადვე დაცულია.

ჩვენის აზრით, ბევრ მხარეს ვერ ნახავთ ქვეყნის პირზე, რომ იქ იმდენი რამ იყოს უძველესის დროებიდამ დატოვებული ღირს-სახსოვარი და ღირს საცნობი, როგორათაც საქართველოში. უბრალო შემთხვევას რომ არ ამოეჩინა 1870 წელს, ჩვენ აქამომდე არაფერი გვეცოდინებოდა თუ რა არხეოლოგიური საუნჯე ძევს დედა-მიწის გულში სამთავროს გვერდით მცხეთაში. ცოტაოდენმა რამ, რაც კი იქიდამ ამოვიღეთ, დიდი ყურადღება მოაქცია ჩვენ მხარეზე ევროპიისაც და რუსეთისაც. ამ გვარივე ყურადღება აღძრა მეცნიერებ შორის საქართველოს ძველმა ტაძრებმა და მონასტ-

რებმა, რომელთაც ჩვენ გულ-გრილად შევსცქერით და უპატიურად ვეპყრობით. რუსეთიდამ და ევროპიდამ ამ მოკლე ხანში 1870 წლიდამ იწყეს სიარული მსწავლულ პირთა, რომ ისინი გადიღონ და ჩვენი ძველი ხელოვნება შეისწავლონ. თუმცა საქართველოში უმეტესი ნაწილი ძველის სამკაულებისა სამუდამოდ დაკარგულია ჩვენის უმეცრებისა და უთაურობისაგან, მაინც კიდევ ბლომად არიან დარჩენილნი. მაგრამ რა მდგომარეობაში ვპოულობთ იმათ? თუ ისინი არიან კერძო სახლებში, ხშირად იმათ უმიზეზოდ ადნობენ, ალპობენ, აგირავებენ და უბრალო ფასათ ჰყიდიან. ეკკლესიებში და მონასტრებში ჩვენ თვითონ გვინახავს ბევრ ადგილს ძვირფასი ნივთეულობა, ვერცხლისა, ოქროსი, სხვა და სხვა გვარი ხელ-ნაწარმოები მტვერში და ნაგავში. ჩვენი ღვდლები და მამა ბერები ისე უყურებენ, როგორათაც უბრალოსა და გამოუსადეგს ნივთებს. ძველი ხელ-წერილები? რამდენი იმათგანი შეიცავს ძვირფასს მასალას ჩვენის ისტორიისათვის, მაგრამ ჩვენთვის დასმულარიან. ისტორიას არ შეუძლიან იმათით ისარგებლოს, რადგანაც დაფანტულნი არიან აქა-იქ კერძო სახლებშივე, და მონასტრებშივე, ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. კარგი თუ რომელიმე იმათგანი შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში, როგორათაც ბენედიკტესაგან მოტანილი ივერიის მონასტრიდამ! უკეთეს მდგომარეობაშია სიგლები, რადგანაც ამათი პირები, მთავარმართებლის ერმოლოვის ბრძანებით ქართლ-კახეთში, და კნ. ვარანცოვის ბრძანებით იმერეთში გადმოიღეს და დიდ წიგნებად შეკრული დაცულია გუბერნიის სამმართველო არხივებში—თბილისში 83 და ქუთაისში 200 მეტი წიგნი. მომატებული ნაწილი საეკლესიო გუჯრებისაც ორ-სამ ადგილს არის შეკრებილი თბილისში და ქუთაისში.

სხვა ქვეყნებში თითქმის ყველგან ძველ ნაწარმოებს ძველ ხელ-ნაწერებს ყველანი ისე უყურებენ, როგორათაც კუთვნილებას მთელის ხალხისას, ამისთვის იქ იმათ აგროვებენ ერთს რომელსამე ადგილს, სადაც ვისაც სურს უფრო ადვილად შეუძლიან იმათით ისარგებლოს. იმათთვის არის ისტორიული ანუ არხეოლოგიური მუზეუმები. მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან იქონიოს საკუთარი ნამდვილი ისტორია, რომელსაც თავისი მუზეუმი აქვს, ჯარ-ლია ყველა ისტორიულის მასალების შემუშავების მოსურნესათვის. უამისოდ შეუძლებელი საქმეა ხალხმა ისტორია იქონიოს.

ჩვენ ჯერ ამ გვარი საჭიროება არ გვესმის. გვსურს კი ვიქონიოთ ისტორია, მაგრამ შესაძლებელი კია ოდესმე ის შევიძინოთ? გინდათ სახლი აიშენოთ? ჯერ აირჩიეთ ადგილი, მასუკან იმ ადგილს მიზიდეთ ყველა საჭირო მასალა; თორემ უამისოთ სახლს ვერ აიშენებთ. მართალია ესა თუ არა? ისტორიაც სახლია, რომელშიაც უნდა იცხოვროს მთელმა ხალხმა. მივიღოთ ყველამ მონაწილეობა, ერთ ადგილს მოვზიდოთ ყველა მასალა, ვისაც რა გვაქვს, და შემდეგ მოვითხოვოთ ისტორიის აშენებაც.

მოიფიქრეთ, ბატონო ქართველებო, ამ საგანზე და დააწესეთ თბილისში ისტორიული მუზეუმი; თუ არა და იყავნ ნება თქვენი!

დ. ბ.

---


## განცხადება

ტფილისში, ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

**გოგია მეჩანგურე,** ლეგენდა თ. აკაკი წერეთლისა. ფასა ერთი შაური.

**დავრიშიანი,** ანუ ზღაპრული მოთხრობა, გამოცემა პირველი. ფასი შვიდი შაური.

ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებსა და „ივერიის“ რედაქციაში,

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გორს, ფარნაოზ ნათიევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევიხას (მიროვოპოსრედნიკი)

**ლექსნი** თქმულნი **თ. ნ. ბარათაშვილისაგან** ფასი . . . . . . . . , . 20 კ.

**ზ. ნ. ანტონოვის თხუზულება,** ფასი 1 მ.

**ქართული ანდაზები,** ფასი . . . . 10 კ.

**მეფე ლირი,** ტრაგედია **შექსპირისა** ფასი 60 კ.

# ბალანსი

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა

### 1877 წლის 1-ს იანვრისათვის.

**აქტივი**

| | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ბანკის კასსაში ნაღდი ფული | — — | — | 216 | 15 |
| 2) მიმომავალს ანგარიშზედ მიბარებული: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში | 60,678 | 48 | | |
| ბ) ტფილისის კომმერციის ბანკში | 457 | 53 | | |
| გ) ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | 1259 | 83 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან (ბანკირი ვინეკენი და კომპანია) | 137,322 | 19 | 199,718 | 3 |
| 3) კორრესპონდენტნი: | | | | |
| ა) კორრესპონდენტნი | — — | — | 500 | — |
| 4) საწევროდ შეტანილი ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | — — | — | 30 | — |
| 5) მიბარებული სარგებელზედ და ვადით: | | | | |
| ა) ტფილისის კომმერციის ბანკში | — — | — | 1,052 | 83 |
| 6) სახელმწიფო და მთავრობისგან გარანტია მინიჭებული ღირებული ქაღალდები, მიბარებულნი: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (58,550 მან.) | 59,129 | 59 | | |
| 7) სარგებლის მომცემნი ქაღალდნი, რომელნიც ბანკს ეკუთვნიან (800 მან.) | 655 | — | 59,784 | 59 |
| 8) გრძელ-ვადითი სესხი გაცემული: | | | | |
| ა) სოფლის მამულზედ $54\frac{1}{2}$ წლითა | 296,200 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულზედ $27\frac{1}{2}$ წლითა | 565,500 | — | | |
| გ) — — — — — 18 წლით და შვიდის თვითა | 41,300 | — | 903,000 | — |
| 9) გრძელ ვადითი სესხი გასაცემად დანიშნული: | | | | |
| ა) სოფლის მამულზედ $54\frac{1}{2}$ წლითა | 14,000 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულზედ $27\frac{1}{2}$ წლითა | 9,500 | — | 23,500 | — |
| 10) გრძელ-ვადითი სესხი, რომელზედაც მსესხებელთა უარი ჰსთქვეს: | | | | |
| ა) სოფლის მამულზედ | — — | — | | |
| ბ) ქალაქის მამულზედ | — — | — | 37,900 | |
| 11) ვადაზედ უწინარეს მოშორებული სესხი: | | | | |
| ა) გირავნობის ფურცლითა | 16,100 | | | |
| ბ) ნაღდი ფულითა | 150 | 32 | 16,250 | 32 |
| 12) მოკლე-ვადითი სესხი | — — | — | 96,215 | — |
| 13) გირავნობის ფურცელნი, გასასყიდლად მიღებულნი | — — | — | — — | — |
| 14) სესხის ამღებნი: | | | | |
| ა) შემოსატანი ფული პირველს ვადას გადაცილებული და მეორეში გადამდგარი (14§ ბანკის წესდებულებისა) გრძელ-ვადის სესხისა | 34,090 | 89 | | |
| ბ) — — — — — მოკლე ვადის სესხისა | 2258 | 19 | 36,349 | 8 |
| 15) შემოსატანი ფული უკანასკნელს ვადას გადაცილებული | — — | — | — — | — |
| 16) შეუშ მოსაქცევი ხარჯი | — — | — | 4401 | 57 |
| 17) გასავალი ბანკისა: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობის და დადგენისათვის | — — | — | 4,072 | 18 |
| ბ) დანახარჯი 1877 წლისათვის | — — | — | 1,584 | 13 |
| გ) ბანკის მმართველობისა და ჯამაგირთათვის. | — — | — | — — | — |
| ბალანსი | — — | — | 1,384,574 | 98 |

# პასსივი

| | მანეთი. | კაპ. | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის სათავნო ფული: | | | | |
| ა) გრძელ-ვადიანის სესხისათვის დანიშნული | 161,397 | 96 | | |
| ბ) მოკლე-ვადიანის სესხისათვის | 100,131 | 15½ | 261,529 | 11½ |
| 2) ზარალის ასაცურნებლად დანიშნული სათავნო ფული | — — | — | 1,694 | 53 |
| 3) საერთო სასარგებლოდ მოსახმარი სათავნო ფული | — — | — | 4,290 | 80 |
| 4) საექსტრაორდინარო სათავნო ფული | — — | — | 698 | 98 |
| 5) გირავნობის ფურცლები, გაცემულნი: | | | | |
| ა) 54½ წლიანი | 296,200 | — | | |
| ბ) 27½ — — | 565,500 | — | | |
| გ) 18 წლიანი და შვიდ თვიანი | 41,300 | — | 903,000 | — |
| 6) გირავნობის ფურცლები, დანიშნული და ჯერ არ გაცემულნი: | | | | |
| ა) 54½ წლიანი | 14,000 | — | | |
| ბ) 27½ — — | 9,500 | — | 23,500 | — |
| 7) გირავნობის ფურცლები გასაუქმებლად დანიშნულნი | — — | — | 37,900 | — |
| 8) ვადაზედ უწინარეს მოშორებულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირავნობის ფურცლებით | 16,100 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით | 150 | 32 | 16,250 | 32 |
| 9) გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი და ჯერ არ წარმოდგენილნი ფულის მისაღებად | — — | — | 3,100 | — |
| 10) კუპონები გირავნობის ფურცლისა, რომელნიც არ წარმოდგენილან ფულის მისაღებად | — — | — | 3,410 | 50 |
| 11) სარგებლის ფონდი | — — | — | 27,090 | — |
| 12) თავნის მოსამორებელი ფონდი 54½ წლის ვადისა | 369 | 83 | | |
| „ — „ — „ — „ — 27½ | 4,498 | 27 | | |
| „ — „ — „ — „ — „ — „ — 18 1/12 | 782 | 7 | 5,650 | 17 |
| 13) გარდასაცემი ფული | — — | — | 8,133 | 6 |
| 14) სხვა და სხვა კრედიტორნი | — — | — | — | — |
| 15) კორრესპონდენტნი | — — | — | — | — |
| 16 სესხის ამღებნი | — — | — | 58,055 | 60 |
| 17) სარგებელი მოკლე ვადიანის სესხისა | — — | — | — | — |
| 18) ჯარიმის ფული | — — | — | — | — |
| 19) სხვა და სხვა სარგებელი | — — | — | — | — |
| 20) წმინდა მოგება | — — | — | 30,571 | 90½ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | — — | — | 1,384,574 | 98 |

თავ-მჯდომარე თ. ნ. ჭავჭავაძე

წევრნი: { თ. დ. ავალიშვილი / თ. ა. ჩოლოყაშვილი.

ბუხგალტერი ხ. ხაჩატურიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.